480

ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ოთხშაბათი, 10 ოქტომბერი № 1606

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

კიოსკში

სურათები საქართველოს რუსეთთან შეერთების დროის საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა. ფასი 20 კ.

ჩვენი ქართველთა მწერლებისა

სურათები, შედგენილი ტ. მომცელიძისა.—ფასი 85 კაპ..

იქვე იყიდება ყველა ქართული გამოცემანი. ლორის მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, საკუთარ შენობაში. (20—1)

კბილის საექიმო კაბინეტი

ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რუჯევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვინის პროსპ. მანთაშევის სახლში. ✿ ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი, მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი და საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (ნ. 0—18)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ, კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით, ტფილისის საბჭოს **ხმოსნების მომავალი არჩევნები** მოხდება სამ საარჩევნო კრებაზე; ამათგან—პირველ საარჩევნ. კრებაში მონაწილეობას მიიღებენ 1-ლ, მე-2, მე-3 და მე-4 საპოლიციო უბნების ამომრჩევლები; მეორეში—ამომრჩევლები მე-5, მე-6 და მე-7 უბნებისა; მესამეში—ამომრჩევლები მე-8, მე-9 და მე-10 უბნებისა. ქალაქის გამგეობა შეუდგა საარჩევნო სიების შედგენას და სთხოვს უძრავ ქონებათა პატრონთ გაანთავისუფლონ თავიანთი მამულები საქალაქო გადასახადის ნედოიმკიდან, რომელიც მათზე ირიცხება 1901 წლის 1-ლ ივლისამდე. იმ პირთ, რომელთაც მამული ან სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულება რამდენსამე უბანში აქვთ, გამგეობა სთხოვს გამოუცხადონ მას, რომელს საარჩევნო კრებაში ჰსურთ მიიღონ მონაწილეობა ხმოსნების არჩევნებში. (ნ. 3—2)

ქუთაისის საქალაქო გამგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ წლის 20 ოქტომბერს, მის თანადასწრებით, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით, სამის წლის ვადით, ყოველგვარ საშენი ქვის მოტეხის ნება ქალაქის მამულში, სახელწოდებით **„მქლარა“**, რომელიც ქუთაისის მაზრის სოფ. ჭოგნარის ახლო მდებარეობს.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, იჯარის დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეუძლიან ქუთ. საქალაქო გამგეობის კანცელარიაში, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2-მდე. (3—3)

მევენახეთა და მებაღეთა კრების თავმჯდომარე უცხადებს ყველა იმ პირთ, რომელთაც ჰსურთ მონაწილეობა მიიღონ კრებაში, რომ ხსენებული კრება დაიწყება 14 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების სადგომში.

კრების შესახებ ცნობების მისაღებად მსურველებმა უნდა მიჰმართონ: დილის 10 საათიდან 12-მდე გამოფენაზე, მიწად-მოქმედების განყოფილებაში, კრების საქმის მწარმოებელს ბ. ვიშნევსკის, ხოლო შემდეგ, 3 საათამდე—სამეურნეო საზოგადოების ბიუროში. (3—3)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის ავათმყოფნი 10—11.

ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ე. ვ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ვ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი № 274. (წლ.)

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

8 ოქტომბერი

პეტერბურგი. 8 ოქტომბერს პეტერბურგში დაბრუნდა დიდი მთავრინა ელენე ვლადიმირის ასული.

8 ოქტომბერს აქ ჩამოვიდა დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილისძე.

ტიუმენი. მდ. ტურა ალაგ-ალაგ გაიყინა, მაგრამ ნავოსნობა არ შეწყვეტილა. ირტიშზე და ტობოლზე ყინული მოდის.

ხერსონი ხერსონის ახლო ყანებში მუშაობის დროს აღმოაჩინეს პურის მატლის დიდ-ძალი კვერცხი.

ოდესსა. ყოვლად უსამღვდელოესმა იუსტინმა აკურთხა აგარაკ „ბოლშოი ფონტან“-ში ახლად აგებული მარმარინის ხარჯით წმ. კონსტანტინე და ელენეს ეკლესია.

სახელმწიფო საბჭოს წევრი გრაფი შუვალოვი მოსკოვს წავიდა.

მეოთხე დღეა, რაც ზღვა ღელავს. სიცივე დაჭირა; დილაობით ჰყინავს; დღისით მხოლოდ ხუთი გრადუსი სითბოა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. სამოსამართლო პალატამ დაასრულა სორმოვის დამბის აშენების დროს ჩადენილ ბოროტ-მოქმედების საქმის განხილვა. ინჟენერს ალექსანდროვს პალატამ გადაუწყვიტა განსაკუთრებულ უფლებათა და უპირატესობათა ჩამორთმევა და ერთის წლით ციხეში დაპატიმრება; ინჟენერს შნაკენბურგს სასტიკი გაკიცხვა გამოეცხადა, მაგრამ სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქმნა მანიფესტის გამო. დანარჩენი ექვსი ბრალდებული სასამართლომ გაამართლა.

მოსკოვი. ქალაქის საყასბოების ქონის გადამდნობ ქარხნებში ქონის ქურდობა აღმოუჩენიათ. ანგარიშიდან სჩანს, რომ 100 ათასი მანეთის ქონი მოუპარავთ. იპარავდნენ მუშები და სულ მცირე ფასში ჰყიდდნენ ევდოკიმოვების საპნის ქარხნების პატრონებზე.

სამაზრო საერობო კრებაზე დღეს სჯა ჰქონდათ სახალხო უმაღლეს სკოლის დაარსების შესახებ, პუშკინის სახელობაზე. სკოლაში ასწავლიან გლეხისათვის ყველა გამოსადეგარ საგნებს.

სოხუმი. დღეს, დილით, სოხუმის ოლქის სოფელ გაგრაში მოვიდა პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგსკი, რომელიც იქ, სახაზინო ადგილზე, აშენებს სანატორიას ჰლექით ავადმყოფთათვის.

ჰააგა. ბურთა დელეგაციას არავითარი ცნობა არ მიუღია იმის შესახებ, ვითომ დევეტი გარდაცვალებულიყოს. ბურთა დელეგატები სრულიად უარ-ჰყოფენ ამის შესახებ გავრცელებულ ხმას. ხოლო დევეტის მოქმედების შესახებ ამბები რომ არ მოდის, ეს სხვა მიზეზებით აიხსნება.

ჰამბურგი. ჰამბურგ-ამერიკის სანავოსნო საზოგადოება 1-ლ იანვრიდან გააძლიერებს გემების მოძრაობას ჰონკონგსა და ვლადივასტოკის შუა.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

საფრანგეთი. ზოგიერთი ფრანგული გაზეთი წინასწარმეტყველობს, პარლამენტის მომავალ სესიას დროს ვალდეკრუსოს კაბინეთი დიდ გაჭირვებაში ჩავარდებაო, რადგანაც არათუ მარტო მის მუდმივ მოწინააღმდეგე კონსერვატორებს და მელინისტებს, თვით მის მომხრე რადიკალებს და სოციალისტებსაც კი განზრახვა აქვთ, მთავრობას წინააღმდეგობა გაუწიონ და ზოგიერთი მოქმედებისა და საქციელის პასუხი მოსთხოვონო. როგორც ისმის, ჟივიანი და კამილ პელტანი დარწმუნებულან, ვალდეკ-რუსო თავის ამხანაგებით სასტიკად იგდებს უკიდურეს მემარცხენეთა დასსაო. ამიტომ ამ დასის წარმომადგენელთ გადაუწყვეტიათ: მინისტრს-პრეზიდენტს ზოგიერთ მნიშვნელოვან საგანზე დაეკითხოთ და მისი ნამდვილი აზრი გაიგონო. პელტანი, სხვათა შორის, საეკლესიო პოლიტიკის თაობაზე დაეკითხება მთავრობას: პელტანი ჰფიქრობს, ვალდეკ-რუსო სამარცხვინო პირობით შეეკრა ვატიკანსაო. ჟივიანი კიდევ სოციალური რეფორმების თაობაზე დაეკითხება მთავრობას; სოციალისტების აზრით, მთავრობა იმასა ცდილობს, რომ მუშების სასარგებლოდ დაწერილი კანონები სულ გააქარწყლოს და თითქმის გააუქმოს. თუ ეგდა ეს ხმები გამართლდა, მაშინ მთავრობა მართლაც განსაცდელში ჩავარდება, რადგანაც ამ ორი გავლენიანი მოღვაწის დახმარება მოაკლდება; ამას გარდა, სამინისტროს მუდმივი მტრებიც, რასაკვირველია, ამ გარემოებით ისარგებლებენ და თავიანთ მხრივაც მთავრობას უფრო მძლავრად დაუწყებენ მტრობასა.

ესპანია. «დეილი ექსპრეს»-ს შეუტყვია: ამ ჟამად მადრიდში მოლაპარაკება აქვთ გამართული იმის თაობაზე, რომ ინგლისმა, ესპანიამ და პორტუგალიამ კავშირი შეჰკრან ერთმანეთთანაო.

ინგლისი. ბ. ედუარდ გრეის ნიუკესტლში სამხრეთ-აფრიკის ომის თაობაზედაც ულაპარაკნია. გრეის გადაჭრით უთქვამს: ინგლისის ერს ეჭვი არა აქვს, რომ ეს ომი უსათუოდ ჩვენი გამარჯვებით გათავდება. სულ ტყუილია, ვითომ ჩვენ ხალხს გული გაჰტეხოდეს, ან შიშის ზარი დასცემოდეს. ყველას მხოლოდ ჩვენ უნიჭო და ქარაფშუტა მთავრობაზე მოსდის ჯავრი. ჩვენი მთავრობა აქამდე გულის-ხმაში ვერ ჩავარდა და წინანდებურად არაფრად აგდებს, სუმბუქად უყურებს სამხრეთ-აფრიკის ომსა. უეჭველად საჭიროა, რომ მთავრობა მხნედ მოეკიდოს საქმეს; მარტო ცალიერი პროკლამაციები არა კმარა. უსათუოდ სასტიკობა უნდა გამოიჩინოს: მხოლოდ ამ გზით შეგვიძლიან ამ დაუსრულებელ ომს ბოლო მოუღოთო.

შეერთებული შტატები. ამერიკის ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენლების მომავალ კონგრესს შემდეგ საგნებზე ექნება მსჯელობა: 1) პირველ კონგრესისაგან აღძრული საგნები, 2) სამედიატორო სასამართლოს დაწესების საქმე. 3) საერთაშორისო სასამართლო დავების გადასაწყვეტად. 4) რა ღონისძიება მიიღონ ვაჭრობისა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დასაცველად; ამერიკის რესპუბლიკებს შუა გზებისა და მიმოსვლის გაუმჯობესებაზე; საკონსულო, სადამოჟნო წესდებაზე და სხვ. 5) ამერიკის რესპუბლიკების საერთაშორისო ბიუროები უნდა სხვა რიგად მოეწყოს.

ამ პროგრამაში ახალი მხოლოდ საერთაშორისო სასამართლოა. რაც კი ამერიკის რესპუბ-

დიკებ შუა ფულის საქმეზე და სხვა-და-სხვა ზარალზე დავასტუდება, სულ ამ სასამართლომ უნდა გაარჩიოს.

ჩინეთი. ჩინეთის ელჩმა ლონდონიდან მოსწერა კანტონის მეფის მოადგილეს: აქედან დიდძალი დინამიტი, ნაირ-ნაირი იარაღი, სამხედრო მასალა და პატრონები საიდუმლოდ გაგზავნეს კანტონშიო. მეფის მოადგილემ თავის მხრივ დამოყნის უფროსებს შეატყობინა ეს ამბავი.

ოსმალეთი. ცოდვის კითხვაა ოსმალეთის თავს! თითქო რაც თავის დღეში ცოდვა ჩაუდენია, ყველამ ერთბაშად თავი მოიყარა და ეხლა ერთად უწიაო. მაკედონიელები, ალბანელები, სომხები და სხვ. ყველა მედგრად თავისას თხოულობენ. აღარ გვინდა ოსმალეთთან ყოფნა, გვეყო ამდენი ტანჯვა და წვალება, დროა ჩვენთვის ცალკე ვივიდეთ და როგორც გვინდა, ისე თავისუფლად ვიცხოვროთო. კუნძული კრიტიც განზე იწევს და ყოველნაირად ცდილობს, რომ ოსმალეთის უბრალო მფარველობასაც თავი მოაშოროს და საბერძნეთს შეუერთდეს. ამ უცხო ერებს გარდა, თითონ ნამდვილი ოსმალელებიც ძლიერ უჩივიან და უწყრებიან თავიანთ მთავრობას. ახალგაზრდა ოსმალელების დასი ისე მხნედ, ისე შეუპოვრად იქცევა, რომ თითონ ხონთქრის საწოლ ოთახსაც კი ცეცხლი წაუკიდეს. ეს დასი ისე გულმოდგინედ და მხნედ მოქმედებს, რომ როგორც ადრეც ვსთქვით, ლამის «ხონთქარი დასძრან ტახტზედა». საწყალ ხონთქარს ღამის მთავარი მცნება დაუბნიონ. ამას წინად მუსულმანების ფადი-შაჰი ისე ძლიერ გამხდარიყო ავად, რომ მისი მორჩენის იმედი აღარა ჰქონდათ. სახელმწიფოებმა ლაპარაკი დაიწყეს, მის მაგიერ ვინ ავა ოსმალეთის ტახტზედაო. ხონთქარი მორჩა, გადარჩა თავის სენსა, მაგრამ მისი სახელმწიფო კი ისევ ისე ავადაა, ისევ ისე ათასი იარა და ჭირი აწუხებს: ოსმალეთი ნამდვილი ბნელეთის, აჯამეთის ქვეყანაა. ჯერ ამ ქვეყნისთვის არ განათებულა; ოსმალეთში არსაიდან, არც ერთი ჭუჭრუტანიდან სინათლე არ შედის; ამ ქვეყანას ჯოჯოხეთივით მარტო ქრთამი ანათებს, მაგრამ ეს ისეთი სინათლეა, რომ არ იყოს ის ემჯობინება; სწორედ ეს სინათლე ულევს ოსმალეთს სიცოცხლესა, ძალას და ღონეს. ამ ქრთამის წყალობით ოსმალეთს ისეთი გახვრებული ბიუჯეტი აქვს, რომ მთავრობამ აღარ იცის, რა თავს წყალი გაიდინოს და აუარებელი სახელმწიფო ხარჯი როგორ გაისტუმროს. იქნება რომ დააცალონ, ოსმალეთი როგორმე გამობრუნდეს, თავის საქმეები ღონეზე მოიყვანოს, მაგრამ ვინ დაცლის?

პირიქით, ის უნდათ, რომ ოსმალეთი, რაც შეიძლება, დაუძლურებული, დასუსტებული იყოს. დიდ სახელმწიფოებს ყოველთვის გაკვრა-გაგლეჯაზე უჭირავთ თვალი და ეხლაც ყველა საწყალ ოსმალეთს მიესია: ზოგი რასა სთხოვს-ზოგი რასა. საფრანგეთი ქვეყნის ფულსა სთხოვს ხონთქარსა; ხონთქარი თავს აბრალებს: «ჩემ გახვრებულ ბიუჯეტს რაღა ეგ უნდაო», მაგრამ ვინ უგდებს ყურს ხონთქრის სამართლიან საჩივარს. რუსეთი კიდე იმას ჩასცივია: მაკედონიელებისა და სომხების ბედი გააუმჯობესე, ამ პროვინციებში რეფორმები მოახდინეო. ავსტრ-უნგრეთიც მაკედონიასა და ძველ სერბიას ექომაგება ვითომ, იტალია ალბანელებს ესარჩლება, ჩემი მონათესავე ხალხია და არ მოგცემ ნებას, რომ ეგრე შეაწუხოო. ინგლისი კიდე სპარსეთის ყურეში ბოდაზ კოვეიტს ეპატრონება. ერთის სიტყვით, ისეთივე საქმე ემართება ოსმალეთს, როგორც უპატრონო ეკლესიას დაემართება ხოლმე: ეშმაკები ეპატრონებიან და განა დიდ სახელმწიფოებზე უკეთესი თვალთ მაქცი ეშმაკი კიდე-და უნდა?

ერთად-ერთი მეგობარი, ქომაგი და მოსარჩლე ჰყავს ოსმალეთს—ესაა გერმანია. გერმანიის იმპერატორმა ორიოდე წლის წინად საქვეყნოდ გამოაცხადა: «მის უდიდებულესობას ხონთქარს და ყველა 350 მილიონს მუსულმანს იმედი ჰქონდეთ, სანამ მე იმპერატორად ვარ, ყოველთვის მათი მეგობარი ვიქნებიო.» მართლაც ვილჰელმს II ძლიერ უყვარს ოსმალეთი, მაგრამ ზოგიერთი ირწმუნება: თქვენ რა იცით, «ამ სიყვარულში რაოდენი სიძულილია». თუ სხვა სახელმწიფოები ადგილების ჩამორთმევას ემუქრებიან, გერმანია კიდე ეკონომიურად იმონავებს ოსმალეთს. და ესეთი დამონავება ხომ ყველასხვანაირ დამონავებაზე უარესია. გერმანია ჯარსაც უწვრთნის, იარაღსაც უგზავნის ოსმალეთს. და ყველა ამას იმ აზრით სჩადის, რომ ოსმალეთი დროებით გაამაგროს და მარტო თითო იპარპაშოს იქა.

ხონთქარი ამდენს ხანს დიდის მოხერხებით, საკვირველის ოსტატობით უხვდებოდა, პასუხს აძლევდა თავის ურიცხვს მტერსა, მაგრამ ბოლოს დროს ამ გამჭრიახე დიპლომატსაც კი, როგორც ეტყობა, ჩარა გაუწყდა და აღარ იცის, რა მოაგვაროს. თუ ოსმალეთს აღსასრულის დღე ჯერ არ მოუვიდა, ჯერ ბოლო არ მოუღო, ეგ იმის ბრალია, იმის უნარია, რომ დიდ სახელმწიფოებისათვისაც ღმერთს ერთი პირისა და თანხმობის შნო არ მიუცია. დამშეული მგლებივით შეჰყურებენ, შეჰღმუიან ერთმანეთს, ყველას ისა სწადიან, რომ თითონ მარტოკამ გაჰკრას გაჰგლიჯოს და სხვები კი ცალიერზე, პირში ჩალა გამოვლებული გაუშვას. მაგრამ ლეშის სუნი უფრო და უფრო ამძვინვარებს, აგაპასებს მგლებსა. ამათი ღმუილი თან-და-თან ძლიერდება. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ

«ამდენი მგელთა ღმუილი უამბოთ არ გადასწყდება».

სამხრეთ-აფრიკა. ბევრი თანაუგრძნობს ბურებს, მაგრამ საქმით კი არავინ ეშველება. ჰოლანდიელ მუშებს გადაუწყვეტიათ ცარიელი თანაგრძნობიდან არა გამოდის რა, საჭიროა საქმით დავეხმაროთ ჩვენ ძმა ბურებსაო. «ფრანკფ. ცაიტუნგა»-ს სწერენ ჰოლანდიიდან:

«ამსტერდამში, გემების მემანქანეთა და ნავთსადგურის მუშებმა პროკლამაცია გამოსცეს და ურჩიეს ყველა მუშებს: ნურც ერთ გემს, რომელიც კი ინგლისის ბაირაღ ქვეშ დადის, ნურც დატვირთავთ, ნურც დასცლით და საზოგადოთ ნურაფერს დახმარებას ნუ გაუწევთ ინგლისის გემებსაო, რაც უნდა დიდი ფასი გაძლიონ, ვიდრე ინგლისი სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებთან ზავს არ ჩამოაგდებსო. ეს საქმე 1901 წლის 31 დეკემბრიდან უნდა დაიწყოსო. პროკლამაცია ყველა გემზე და ნავთ-სადგურებში მომუშავე ხალხს გაეგზავნება, როგორც ჰოლანდიაში, ისე საფრანგეთსა, გერმანიასა, შვეციასა, ნორვეგიასა, დანიასა, ბელგიასა და იტალიაშიაც. პროკლამაციას ამსტერდამელ მუშათა 8 საზოგადოების თავმჯდომარე აწერს ხელსა. პროკლამაციაში, სხვათა შორის, ნათქვამია:

«სამხრეთ-აფრიკის ომი დიდ ზარალს გვაძლევს ყველა მუშებს. ამიტომ ვეცადნეთ და მეომარ ინგლისელებს ომის ხალისი დაუკარგოთ».

ამბობენ, ბელგიელი და გერმანელი მუშები უსათუოდ მიემხრობიან ჰოლანდიელ მუშებსაო.

✿ გენერალმა ბოტამ ზულულანდიდან ჩრდილოეთისაკენ დაიწია. ოთხი ინგლისელი გენერალი ცდილობდა, ბოტასთვის წრე შემოევლოთ და შუაში მოემწყვდიათ, მაგრამ ვერას გახდნენ: ბოტა უვნებლად წაუვიდათ ხელიდან. თითონაც ბურების მთავარ-სარდალი მრავალ მტერსაც არ მოერიდა და ინგლისის ფურგუნების ქარავანს დაეცა და ხელში ჩაიგდო. ინგლისელი გენერლები იმით იმართლებენ თავს, დიდმა წვიმებმა შეგვიშალეს ხელიო. გაზეთები შენიშნავენ: განა ეს წვიმები ბოტას კი არ უშლიდნენ ხელსაო: ბარემ პირდაპირ სთქვით: «რის მიზეზმოზეზები, დოს მარილი აკლიაო!».

ახალი ამბავი

✦ „ნოვ. ობოზრ.“-ს დეპეშით ატყობინებენ ბათუმიდან, რომ ორშაბათს, 8 ოქტომბერს, ქალაქის საბჭოში არჩევნები ყოფილა ქალაქის თავის მოადგილისა. კენჭი უყრიათ გამგეობის წევრთ ბ. ბ. ვოლსკისა და ივანოვს. საბჭოს კვლავ ბ. გრ. ვოლსკი აურჩევია.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის **მეოთხე წევრის კანდიდატებად** ასახელებენ: ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარეს სულიევს, ქალაქის ინჟენერს ენფიანჯიანცს, ხმ. ლისიციანს და საბჭოს მდივანს ს. ქრელაშვილს.

✦ ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ მიმართა ქალაქის თვითმმართველობას, ადმინისტრაციას და სხვ. გაავრცელონ ხალხში ცნობა, რომ დღეიდან ტფილისის ოლქის სასამართლოსთან, სასამართლო დაწესებულებათა სადგომში, დაიწყებს მოქმედებას **ვექილების კონსულტა**ცია; კონსულტაცია იძლევა სიტყვიერ რჩევას და სწერს ყოველ-გვარ ქაღალდებს; ღარიბებს ფულს არ გადაახდევინებენ; მთხოვნელებს მიიღებენ დილის 10 საათიდან 2-მდე. ქალაქის გარეთ მცხოვრებთ შეუძლიათ წერილობით მიმართონ კონსულტაციას, მაგრამ საპასუხო წერილისათვის უნდა გამოგზავნონ მარკა. ხალხში ამ დაწესებულებაზე ცნობების გასავრცელებლად კარგი იქმნებოდა, რომ სასამართლოს თავმჯდომარე გაუგზავნიდეს საჭირო ქაღალდს ადგილობრივ ენებზე სასოფლო კანცელარიებს.

✦ როგორც ვიცით, **ტრამვაის უსახელო საზოგადოებამ** უნდა შეიტანოს ქალაქის კასაში 400,000 მანეთი თათრის მოედნის იმ ადგილების შესასყიდათ, რომელიც ტრამვაისათვის არის საჭირო. ქალაქის გამგეობა, საბჭოს დაუკითხველად, მოელაპარაკა უსახელო საზოგადოებას და შემდეგი შეთანხმება მოახდინა: ხელშეკრულების მეორე მუხლის ძალით შემოსატანი 400,000 მ. შეიძლება გადახდილ იქმნეს ან ნაღდ ფულად, ან სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდებით, მაგრამ იმ პირობით კი, რომ რასაც დაჰკარგავს ქალაქი ქაღალდების განაღდების დროს, იგი შეავსოს უსახელო საზოგადოებამ, ან უნდა გამოირიცხოს საზოგადოების მიერ წარმოდგენილ გირაოდან. ხმ. ბაბოვის აზრით, ეს შეთანხმება უკანონოა და მან შეიტანა კიდეც გამგეობაში განცხადება საბჭოსთვის წარსადგენად. ბ. ბაბოვი ამტკიცებს, რომ 1) ხსენებული 400,000 მან. იგივე ავანსია, თუმცა განსაკუთრებულის დანიშნულებისა; 2) უსახელო საზოგადოება ვალდებულია დაუყოვნებლივ შემოიტანოს ეს ფული ნაღდად; 3) რადგანაც უსახელო საზოგადოების გირაოს განსაკუთრებული დანიშნულება აქვს, ყოვლად შეუძლებელია მას რაიმე გამოაკლონ.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობას შეუმუშავებია პროექტი **შუამდგომლობისა** ტფილისში შემოტანილ და ტფილისიდან გატანილ **საქონელზე საქალაქო გადასახადის** შემოღების შესახებ. პროექტში მოყვანილია ცნობები, თუ 1) რა -ზის ქალაქის ქუჩები და მოედნები, რომლებზედაც საქონელი უნდა გაატარონ, 2) რამდენი და რა საქონელი მიაქვს და მოაქვს რკინის გზას, 3) სად და რამდენი ქუჩებია კიდევ გასაკეთებელი, 4) რა დრომდის იქნება შემოღებული ხსენებული გადასახადი და 5) რომელ საქონელს უნდა დაედოს ეს გადასახადი. ბოლოს პროექტს დართული აქვს აზრი ტფილისის ვაჭრობისა და მანუფაქტურის კომიტეტისა, რომელიც წინააღმდეგი არ არის შემოღებულ იქმნას ეს გადასახადი.

✦ **მერმეგეთა კრებების** ყველა სხდომების ანგარიშები დაიბეჭდება და წარედგინება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომელმაც კანონიერი მსვლელობა უნდა მისცეს კრების ყველა დადგენილებას.

✦ **მეურნეების კრების** თავმჯდომარემ ბ. შიმანოვსკიმ გადასწყვიტა დანიშნოს სხდომა ამ თვის შუა რიცხვებში. ამ დროსვე მოხდება კრება მევენახეობისა და მეღვინეობისა. მეურნეთა კრებებისათვის მომზადებულია რამდენიმე მოხსენება.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტროს მოხელე თ. მასკალსკიმ კავკ. სამეურნეო საცდელ სადგურების დათვალიერების დროს ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ „პრაქტიკანტებად“ იღებენ ამ სადგურებზე ისეთ პირებს, რომელთაც შესაფერი განათლება არ მიუღიათ. უმთავრესი მიზანი კი ამ თანამდებობის შემოღებისა ის არის, რომ „პრაქტიკანტებმა“, პრაქტიკულ მუშაობის შემდეგ, შესძლონ ინსტრუქტორობა და გაავრცელონ ხალხში სამეურნეო ცოდნა. თეორეტიულად მოუმზადებელი პრაქტიკანტები ამას ვერ შესძლებენ. ამიტომ მასკალსკიმ ამ ბოლოს განკარგულება მოახდინა, რომ შემდეგისათვის მომზადებული პირები მიიღონ ამ თანამდებობაზე.

✦ გუშინდელ დღისათვის დანიშნული იყო გამგეობაში **მიკიტანთა და მეტრაქტირეთა** კრება იმ კომისიის ასარჩევად, რომელმაც უნდა გააწეროს ხსენებულ პირებს საქალაქო გადასახადი. ხარჯთ-აღრიცხვით ტრაქტირის გადასახადი უდრის 17,557 მ., სამიკიტნოების კი—22,466 მ. სულ 40,023 მანეთი. მიკიტნებმა და მეტრაქტირეებმა გადასახადი გადამეტებულად დაინახეს და აღარ ამოირჩიეს ხარჯის გამწერი კომისია. ამისთანა ამბავი შარშანაც ჩაიდინეს მიკიტნებმა. ასე რომ ხარჯს თვით გამგეობა გააწერს, სატრაქტირო დებულების ძალით.

✦ **ქალაქის ლომბარდი** თხოულობს კიდევ 8000 მ. საოპერაციო თანხის გასაძლიერებლად.

✦ ქალაქის სკოლების გამგე **კომისიის** თავმჯდომარე სთხოვს კომისიის წევრებს უთუოდ დაესწრონ დღევანდელ სხდომას, რადგან ამ სხდომაზე უნდა განიხილონ სკოლებისათვის მეტად საჭირო კითხვები უმთავრესად ადგილობრივ ენების და სამღვთოსჯულის განაწილების საქმის შესახებ სკოლებ შუა.

✦ გუშინ **გამოფენაზე** ექსპერტიზა გაუკეთეს საოჯახო მრეწველობის და თევზეულობის განყოფილებების ექსპონატებს.

✦ ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარე ბ. **სულიევი**, როგორც გვატყობინებენ, უარს ამბობს კენჭი იყაროს მეორეთ ხსენებულ თანამდებობაზე.

✦ **ქალაქის ტეხნიკოსმა** შახნაზაროვმა დაათვალიერა ერმოლოვის ქუჩაზე ივ. ხარაზოვის სახლი. აღმოჩნდა, რომ ამ სახლის სამ ოთახში გაჩენილა საშინელი სინესტე იმის გამო, რომ ამ ოთახებთან აუშენებია დიდი კედელი მეზობელ სახლის პატრონს ზუბალაშვილს. მდგმურები უნდა გამოიყვანონ ამ ოთახებიდან დაუყოვნებლივ.

✦ ქალაქის გამგეობაში აღძრულია კითხვა ქალების სიფილიტიურ **საავადმყოფოს** კაპიტალურ გადაკეთებაზე. შედგენილია პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა ამ გადაკეთებისა.

✦ ტფილისის **სამოსამართლო პალატამ** 6 ოქტომბერს განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა სიმონ ბურკაძისა და ჩარკვიანისა, რომელთაც ქურდობის ჩადენის დროს იარაღით კაცის დაჭრა ბრალდებოდათ. პალატამ დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება, რომლითაც ჩარკვიანს მიესაჯა ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, ხოლო ბურკაძეს—საპყრობილეში 6 თვის ვადით დაპატიმრება.

✦ **ტფილისის „კრუჟოკის“** საბჭომ სთხოვა ქალაქის გამგეობას ჩქარა შეატყობინოს მას, თუ რა რემონტს უპირებენ ქალაქის სახლს, სადაც „კრუჟოკია“ მოთავსებული.

✦ ვიღაც გიულ ვეზიროვის (ერევნელია) შვილს სამხედრო ბეგრის მოხდის დრო მოსვლია და ერევანში უნდა წასულიყო. მამას შვილის სამგზავრო ფულის გადახდა არ სდომებია და პოლიციისათვის გამოუცხადებია, რომ ჩემი შვილი გაურბის სამხედრო ბეგარას და გთხოვთ ეტაპით გაგზავნოთო. უდანაშაულო შვილი მაშინვე დაუპატიმრებიათ და, რასაკვირველია, ძუნწი მამის ხრიკიც გამომჟღავნებულა.

✦ **საერო განათლების სამინისტროს** მავნებლად უცვნია ახლანდელი წესი უმაღლეს სასწავლებლებში საკონკურსო ეგზამენებით მიღებისა და იმ აზრს დასდგომია, რომ უმჯობესი იქნება ეგზამენები სრულიად

მოისპოსო და მიღების დროს იხელმძღვანელონ ნიშნებით, რომელნიც ატესტატში ან მოწმობაში აქვთ აღნიშნული მოწაფეთაო.

◆ 7 ოქტომბერს, მიხეილის ქუჩაზე სუსანა [illegible] ასულს პასეილს ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა ჯიბიდან ამოაცალა ოქროს საათი.

◆ ავჭალის ქუჩაზე დილის 4 საათზე, 8 ოქტომბერს, ერევნის გუბერნიის მცხოვრებს ვიღაც გაბრიელს (გვარი არ იციან) რევოლვერით მძიმედ დაუჭრია ამავე გუბერნიის მცხოვრები არშაკ ხაჩატურას ძე ხონოევი.

◆ პოლიციის მეოთხე ნაწილში, თავ. ვასილ ბებუთოვისათვის 8 ოქტომბერს მოუპარავთ სხვა-და-სხვა ნივთები 60 მან. ღირებული. ქურდები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

პრესსა

გაზეთ „როსსია“-ში (№ 877) დაბეჭდილია საყურადღებო წერილი „ქართველ თავად-აზნაურობის შუამდგომლობა“. წერილის ავტორი ამბობს:

„საქართველოს რუსეთთან შეერთების იუბილეის დღესასწაული აღინიშნა უმაღლესის რესკრიპტით, რომელშიაც ქართველ თავად-აზნაურთა ღვაწლი მეტად მოწყალედ არის მოხსენებული. ამის გამო ახლა იმედი უნდა გვქონდეს, რომ შეწყნარებულ იქნებიან ტფილისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთაგან რამდენჯერმე აღძრული შუამდგომლობანი ერობისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების შესახებ ხსენებულ გუბერნიებში. უმაღლესის რესკრიპტის შემდეგ ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს იმ მოსაზრებათ, რომელთა ძალით ამ რეფორმების წინაღმდეგნი იყვნენ. ქართველ თავად-აზნაურობას და ხალხსაც 100 წლის განმავლობაში ბევრჯელ დაუმტკიცებიათ, ამბობს რესკრიპტი, თავის ერთგულება ხელმწიფეთა და ახალ სამშობლოსადმი; მაშასადამე, საფუძველი აღარ გვაქვს ვიფიქროთ, ვითომ ქართველი ერი ბოროტად გამოიყენებს თვით-მართველობას“.

⁂

რუსეთის იმპერიაში სამეურნეო სკოლების რიცხვი სასაცილომდე მცირეა. როგორც წინეთაც გვქონდა ამ ადგილზე ნათქვამი, რუსეთის იმპერიის ყველა სამეურნეო სკოლები მარტო კავკასიას თუ დააკმაყოფილებენ. ამიტომაც არის, რომ სერიოზული გაზეთები, რომელთაც ესმისთ საქმეთა ნამდვილი მდგომარეობა, განსაკუთრებულის სიამოვნებით აღნიშნავენ რომელსამე ახალ სასარგებლო მოვლენას ამ სფერაში. კიევის სამეურნეო საზოგადოებას დაუარსებია სამეურნეო კურსები მსურველთათვის.

„აზრი ამ კურსებისა, ამბობს „რუსკია ვედომოსტი“, მეტად მარტივია. მართლაც, რა უნდა იყოს იმ იდეაზე უმარტივესი, რომ სამიწადმოქმედო ქვეყანაში აუცილებლად საჭიროა ყველა მსურველთ შეეძლოთ სამეურნეო ცოდნის შეძენა; დაარსება ამ მიზნით საჯარო კურსებისა მშვენიერი და პირდაპირი საშუალებაა“

ამ შეძლების განსახორციელებლად. მაგრამო, უმატებს გულნატკენად გაზეთი: დიდი ხანია ცნობილი არისო, მშვენიერი და ჭეშმარიტი აზრები აგრე ადვილად არ ხორციელდებიან ცხოვრებაში, განსაკუთრებით რუსეთის ცხოვრებაში.

„ვუსურვოთ ახალ საქმეს, არ შეხვდეს თავის გზაზე მოულოდნელ დაბრკოლებას, რომელიც ღმერთმა იცის საიდან და რისთვის გამოტყვრება და ხელს უშლის ხშირად მეტად სასარგებლო საქმეს“....

კარგი იქნება ჩვენი სამეურნეო საზოგადოებაც მიბაძავდეს კიევისას და სამეურნეო კურსებს გამართავდეს ამ ზამთარს. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ კიდეც სცადა წელს ამ გვარ კურსების მოწყობა და სრულებით უსარგებლოდ არ ჩაუვლია ამ საქმეს, მიუხედავათ იმისა, რომ კითხვები სწარმოებდნენ რუსულ ენაზე, რომელიც მეურნეების დიდ უმრავლესობას სრულებით არ გაეგება.

ქალაქის საბჭო

8 ოქტომბერი

8 ოქტომბრის ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომას დაესწრო 30 ხმოსნამდე. 17 ოქტომბრის საბჭოს სხდომის ოქმის დამტკიცების შემდეგ, მოურავის მოადგილემ ბ. შესტაკოვმა აცნობა ხმოსნებს გ. გ. ევანგულოვის გარდაცვალების გამო სხვა-და-სხვა დაწესებულებათაგან მიღებულ სამძიმარ დეპეშების შინაარსი და შემდეგ განაცხადა: „26 სექტემბერს ტფილისში გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი; განსვენებული ერთ ხანს გამომცემელი იყო ქართულის გაზეთის „დროებისა“, აგრეთვე გამოსცა თავის ხარჯით სურათებიანი „ვეფხვის ტყაოსანი“. ბევრი შრომა მიუძღვის განსვენებულს სხვა-და-სხვა შეუძლოთა სწავლის დროს დახმარებისა და აგრეთვე ეკკლესიების განახლების საქმეში. გიორგი დავითის ძე ქალაქის საბჭოში ხმოსნად იყო 1883 წლიდან 1893-მდე, რომელ დროსაც მონაწილეობას ღებულობდა სხვა-და-სხვა კომისიებში. ვთხოვ საბჭოს ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებულის სახელს“. საბჭომ ფეხზე წამოდგომით პატივისცა განსვენებულ ქართველიშვილის სახელს.

საბჭომ მხედველობაში მიიღო ბ-ნ შესტაკოვისაგან წაკითხული ცნობები იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატა საიუბილეო დღესასწაულებში ქალაქ ტფილისის მონაწილეობა!

ხმ. გ. ალიხანოვი. გამორკვეული გაქვთ თუ არა დღესასწაულების გამო მომხდარ ხარჯების რაოდენობა?

მოურავის მოადგილე. ჯერ არ არის ცნობაში მოყვანილი, მაგრამ, ვფიქრობთ, ამაზე მეტი არ იქმნება, რაც ამ საქმისათვის დასახარჯათ იყო გადადებული.

ქალაქის გამგეობას წელს სხვა-და-სხვა არა ჩვეულებრივ ხარჯების გამო შარშანვე დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცვით გადადებული ფული არა ჰყოფნია და ამ დღეს საბჭოს წარუდგინა დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა დასამტკიცებლად. აქამდე მეტი დახარჯვია ქალაქს 31,881 მან. 36 კაპ. და წლის დამლევამდე დასჭირდება კიდევ 26,726 მან. სულ ამ წლის დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვის ჯამი უდრის 58.607 მ. საფინანსო კომისია თანახმა გაუხდა გამგეობის მიერ შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვას და საბჭომაც შეუცვლელად დაამტკიცა.

საბჭომ მხედველობაში მიიღო ტფილისის გუბერნატორის მოწერილობა ქალაქის მოურავის მოადგილედ ბ-ნ შესტაკოვის დატკიცების შესახებ და შეუდგა განხილვას გამგეობის დადგენილებისას ქალაქის ახალ ხმოსნების არჩევნების შესახებ. როგორც უკვე თავის დროზე გვქონდა აღნიშნული, გუბერნატორის მოწერილობისათანავე გამგეობამ გარდასწყვიტა შეუდგნენ ეხლავე არჩევნების სამზადისს. ყოველივე ამ საქმის წარმოება დაევალოს გამგეობის პირველს განყოფილებას, რომელსაც დახმარება უნდა გაუწიოს ქალაქის მდივანმა ბ-ნმა ჭრელაშვილმა. გაზეთებით უნდა აცნობონ ყველა ქალაქის მემამულეებს, რომ ეხლავე მათზე დარჩენილი გდასახადი წარადგინონ, თუ სურთ არჩევნებში მონაწილეობის მიღება; იმ მემამულეებმა, რომელთაც ქალაქის რამდენიმე ნაწილში აქვთ უძრავი ქონება, ეხლავე უნდა განუცხადონ ქალაქის გამგეობას, თუ რომელ სარჩევნო განყოფილებაში ჰსურთ ჩაეწერონ. საბჭომ ხმის უმეტესობით შეუცვლელად დაამტკიცა გამგეობის ეს დადგენილება. ზოგიერთი ხმოსნის შეკითხვაზე მოურავის მოადგილემ განმარტა, რომ სარჩევნო სიების მომზადებას 1902 წლის იანვრისათვის მოასწრებენ, ხოლო არჩევნების დრო აპრილის თვის პირველ რიცხვებში უნდა დაინიშნოსო.

გამგეობის სურვილს ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრის დანიშვნის შესახებ თანახმანი გაუხდნენ ხმოსნები სულხანიშვილი, ფრიდონოვი, თავ. ნ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი და ხაიროვი, ხოლო წინაღმდეგი ა. ს. ბაბოვი, რომელმაც განაცხადა, გადაიდოს მეოთხე წევრის არჩევანი მომავალ წლამდეო. კოტა ხნის კამათის შემდეგ საბჭომ ხმის უმეტესობით გააუქმა 5 მარტის დადგენილება და გარდასწყვიტა გამგეობას მეოთხე წევრის არჩევანი დაინიშნოს 23 ოქტომბრის სხდომაზე.

ხმოსანთა შორის დიდი კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ სააღმშენებლო განყობილების სავალდებულო დადგენილებათა მე-24 მუხლის შეცვლის შესახებ. აღნიშნულ მუხლის ძალით, მცხოვრებელთ აღკრძალული აქვთ ქუჩის პირებზე, ახლად გამოწყობილ ანუ უკვე აშენებულ სახლების სიმაღლის მომატება; ამ მუხლის ძალით სახლის სიმაღლე ქუჩის სიგანიერეს არ უნდა აღემატებოდეს. გამგეობას სავალდებულო დადგენილებათა მე-24 მუხლი უნდა შესცვალოს ისე, რომ ამშენებელს ნება ეძლეოდეს ააშენოს თავისი სახლი ქუჩის სიგანიერისა და ერთი მეოთხედი სიმაღლის ოდენა. ზოგიერთი ხმოსნები ამ სურვილს წინააღმდეგნი გაუხდნენ.

კარგა ხნის კამათის შემდეგ, საბჭომ, თანახმად ხმოსან ა. ს. ბაბოვის წინადადებისა, გარდასწყვიტა ამოირჩიოს განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაავალოს აღნიშნულ მუხლის განხილვა და ორი კვირის შემდეგ მის შესახებ საბჭოსათვის თავისი მოსაზრების წარმოდგენა. კომისიის წევრების კანდიდატებათ დასახელებულთ კენჭი ველარ უყარეს, რადგანაც საკმაო ხმოსანთა რიცხვი აღარ აღმოჩნდა.

დასასრულ მოურავის მოადგილემ ბ-ნმა შესტაკოვმა აცნობა ხმოსნებს ქალაქის კასის გატეხისა და იქიდან ფულისა და მესამე სესხის გაუნაღდებელ საობლიგაციო ფურცლების მოპარვის საქმე, რაც თავის დროზე დაწვრილებით გვქონდა აღნიშნული. სხვათა შორის, შესტაკოვმა აღნიშნა, თუ გამგეობამ რა საშუალება იხმარა დაკარგულ ქონების აღმოსაჩენად.

ხმ. თაიროვი. საჭიროა გადაიდვას 1000 მან. გამგეობის განკარგულებაში დასახმარებლად, რომ მალე და სინამდვილით იქმნენ ბოროტ-მოქმედნი გამოაშკარავებულნი.

თავ. ჩერქეზიშვილი. ეს ფულები უკეთესი იქნება დაუნიშნოთ საჩუქრად მას, ვინც აღმოაჩენს ბოროტ-მოქმედთ.

გ. მ. ალიხანოვი. შეგვატყობინეთ, თუ რა წესები გაქვთ მიღებული ქალაქის ქონების დასაცავად. აქამდე ეს გამგეობაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ, როცა გამგეობა იმდენად უძლური აღმოჩნდა ქალაქის ქონების დაცვის საქმეში, რომ დღისით ქალაქის შუაგულ ადგილას ამოდენა ქონება მოგვტაცეს, ასე ყველას გასაოცებლად, ეხლა საბჭომ უნდა მიიღოს თავზე ისეთი წესის შემოღება, რომ ასეთ განსაცვიფრებელ ბოროტ-მოქმედებას ადგილი არ უნდა ექნეს და, საზოგადოდ, რიგიანად იქმნეს დაცული ქალაქის ქონება. მე მესმის შაბათს მიღებულ 4000 მან. შეტანა ველარ მოასწრეთ ბანკში, მაგრამ მაკვირვებს ის გარემოება, რომ ეს ამოდენა საობლიგაციო ფურცლები აქვე კასაში გქონიათ შენახული და არა ხაზინაში.

მოურავის მოადგილემ აღნიშნა, თუ რა პირობებში მოხდა ბოროტ-მოქმედება და რა წესი იყო ან აპირებენ შემოიღონ ეხლა.

კარგა ხნის კამათის შემდეგ, საბჭომ, ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა: მხედველობაში იქნეს მიღებული ცნობა ქურდობის შესახებ, დაევალოს გამგეობას გადაათვალიეროს ქალაქის ქონების დაცვის ეხლანდელი წესრიგი და მოხსენება წარმოუდგინოს ახლო მომავალში საბჭოს მის შესახებ, რომ თვით საბჭომ შეადგინოს სავალდებულო წესი ქალაქის თვით-მმართველობისათვის და გადაიდოს 1000 მან. პოლიციის დასახმარებლად და ქალაქის კასიდან დაკარგულ ქონებისა და ბოროტ-მოქმედთა აღმოსაჩენად.

სასამართლო

ულიბეგოვის საქმე

გუშინ, 9 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ტფილისის მეორე გილდის ვაჭრის ბალალა ნიკიტას ძის ულიბეგოვისა (54 წ.), რომელსაც ბრალდებოდა თელავის მცხოვრების ალექსანდრე ვართანოვისა ცრუ ფიცის მიღებაზე წაქეზება. 1897 წელს ტფილისის მცხოვრებს ივანე ლისინოვს უჩივლია მომრიგებელ მოსამართლესთან ბალალ ულიბეგოვზე, რომ უკანასკნელი არ უხდის ღვინის ფულს 262 მანეთსა და 72 კაპ. ამ საქმის გარჩევის დროს, სხვათა შორის, მოწმეს ვართანოვს განუცხადებია, რომ აღნიშნულ წელს ვენების დიდ ხუთშაბათს ლისინოვი შემოვიდა ულიბეგოვის დუქანში და მის იქ ყოფნის დროს მიიღო ულიბეგოვისაგან მართებული 260 მან. 40 კ. მომრიგებელ მოსამართლეს უფრო ყურადღება მიუქცევია სხვა მოწმეების ჩვენებისათვის და ლისინოვისათვის კუთვნილი ფული მიუსაჯავს. რამოდენიმე ხნის შემდეგ მოწმე ვართანოვს ტფილისის ოლქის სასამართლოსთან განუცხადებია, რომ მან ტყუილად მიიღო ფიცი მომრიგებელ მოსამართლესთან ლისინოვისა და ულიბეგოვის საქმის გარჩევის დროს, რადგანაც ულიბეგოვმა წამაქეზა ამისთავის საჩუქარს მოგცემო და თუ ასე არ მოიქცევი, ადგილს დაგაკარგვინებო. ამის გამო პასუხის გებაში მიეციათ როგორც მოწმედ ნამყოფი ვართანოვი, — გარეთვე თვით ვაჭარი ულიბეგოვიც. საქმის გამოძიებით გამორკვეულა, რომ მართლა ლისინოვს არავითარი ფული არ მიუღია და რომ ვართანოვმა წაქეზებით აჩვენა მის სასარგებლოდ. ოლქის სასამართლოში საქმის გარჩევის დროს ვართანოვი გამოტეხილა თვის დანაშაულობაში და განუცხადებია, რომ მე ტყუილი ვაჩვენე სასამართლოში იმის გამო, რომ ჩემმა „ხაზეინმა“ ულიბეგოვმა დამარწმუნა, რომ ამისათვის „იგი გასამრჯელოს მომცემდა და თუ უარს ვიტყოდი, მაშინ ადგილიდან გამაგდებდაო. ულიბეგოვს თავის გასამართლებლად ის უთქვამს, რომ მე სრულად გავისტუმრე ლისინოვი, ხოლო ჩემზე ვართანოვმა ისეთი ამბავი მიტომ შეადგინა, რომ მე იგი მთვრალობისათვის გავაგდე ჩემის დუქნიდანაო. ოლქის სასამართლოს ულიბეგოვი გაუმართლებია, ხოლო ვართანოვისათვის გარდაუწყვეტია ცრუ მოწმობისათვის ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთის წლის ვადით გაგზავნა. ვართანოვს ოლქის სამოსამართლოს განაჩენი განუსაჩივრებია სამოსამართლო პალატაში, ხოლო ულიბეგოვის გამართლების გამო პროტესი განუცხადებია ბრალდებულის ამხანაგს.

გუშინ საქმის გარჩევის დროს ეკითხა გარემოება ორს მოწმეს. პალატამ თითქმის ერთის საათის თათბირის შემდეგ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც გაუქმებულ იქნა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება ულიბეგოვის შესახებ, რომელიც დამნაშავედ იქმნა ცნობილი, და მიესაჯა ვართანოვის ცრუდ ფიცის მისაღებად წაქეზებისათვის ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლება უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში $3^{1}/_{2}$ წლის ვადით გაგზავნა. პალატამ ამასთანავე გარდასწყვიტა მოეთხოვოს ულიბეგოვს 2000 გირაოდ და თუ ვერ წარადგენს, დაპატიმრებულ იქმნეს მეტეხის ციხეში ეხლავე.

პროვინცია

ქსნის ხეობა (დუშეთის მაზრა). ქსნის ხეობას კარგა ბლომად სოფლები აზვევია გარშემო. ქსენონი და ბოქაული იმყოფება ს. ახალგორში, რომელიც გათქმულია სიმდიდრით მთელ დუშეთის მაზრაში. ახალგორელი თითქმის ყველა კარგად არის: ისინი არც ხვნენ, არც სთესვენ, მაგრამ ღვინო და პური ძლიერ ბლომათ აქვთ. ყველაფერს ამ ხეობის სოფლებიდან იძენენ; თვით სოფლები კი ყოველისფერს მოკლებულია ახალგორელ ვაჭრების წყალობით.

უგზოობაც ძლიერ აწუხებს მცხოვრებლებს; გზები თითქმის სანახევროდ გაფუჭებულია. ადრინდელ დროში კიდეც მადლიანს უკეთებია, რაც გაჭრილ კლდეებს ეტყობა. ეხლა კი, როდესაც ხალხი განათლებაში უნდა შედიოდეს, გზებისთვის სულ თავი დაუნებებიათ: სჩანს, ამ სოფელს გულ-შემატკივარი არავინ ჰყავს. ქურდ-ბაცაცებიც არ ასვენებენ ისედაც დაბეჩავებულ ხალხს. ამ ზაფხულ მეტად ხშირი იყო ქურდობა.

სასწავლებელი თითქმის ამ ხეობაზე არსად არსებობს, გარდა ს. ახალგორისა. ამ ერუ სოფლებში ერთი ვიღაცა ვაჟბატონი გაბატონებულა; იმ ვაჟბატონის სახელი ივანეა. ტომით აისორი, მაგრამ თავის თავს ბერძენს უწოდებს. საფრანგეთში გავათავე ფაკულტეტი და კარგი მკითხავი და ექიმი ვარო. იგი დროებით ს. მონასტერში იმყოფება და აქიდან დაჰყავთ, სადაც გასაჭირი არის. მკითხაობა მორიგებაზე არის, მაგრამ მანეთ ნაკლებ აღარ შეიძლება. ვინც რამეს დაჰკარგავს, მაშინვე ამ ვაჟბატონთან მიდის სამკითხველოდ. ამ ექიმბაშმა ვითომც გიჟების მორჩენაც უნდა იცოდეს. ეს ვაჟბატონი ხაზინებსაც ეძებს, ძველ დროს შენახულებს. ამას წინად სამს ადგას ათხრევინა მიწა თითო კვირა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი უპოვნია, ხალხი მაინც უკან დასდევს, როგორც დიდ ბრძენს და ნასწავლს.

ანტონისძე.

ქ. თელავი. სადაც გაიხედავთ, ბატონებო, — ქალაქისკენ თუ სოფლისკენ — სამკითხველოზე ლაპარაკი მოგესმით: ზოგან აარსებენ, ზოგან დაარსებულის გაუმჯობესებას სცდილობენ, სხვა-და-სხვა საშუალებებს ეძებენ... ჩვენც გვაქვს სამკითხველო, რომელსაც ენა რომ ჰქონდეს — ყველა გამვლელ-გამომვლელს შესჩიოდა: «ან მომკალით მთლად, ან დამარჩინეთო». მაგრამ რადგანაც ლაპარაკი არ შეუძლიან და ვერავის რას უბნება, ამიტომ მისი პატრონიც არავინაა; ხოლო პატრონად დანიშნულები კი ბევრნი: გამგეობა, მზრუნველი კომიტეტი, სარევიზიო კომისია, რომლის წევრები ფეხსაც არ სდგამენ სამკითხველოში გაზეთების სკითხავათაც, არამც-თუ «სარევიზიოდ» — ისე მიდის თვეები და წლიწადები. ამ ზაფხულს რამდენიმე კრება ჰქონდათ სამკითხვ. წევრებს (ისიც მოსული ორიოდე ახალგაზდების თაოსნობით) იმის შესახებ, რომ აუცილებლად საჭიროა სამკითხველოსთვის საკუთარი შენობის აშენება და გადასწყვიტეს კიდეც ამისათვის საშუალებების მოძებნა. აირჩიეს კომიტეტი, რომელსაც ჩაჰბარდა ყველა ქალაქებში ნაცნობ პირებთან წერილების მიწერა შემწეობის აღმოჩენაზე. ამ კომიტეტმა აირჩია თავმჯდომარე, რომელიც მოვალე უნდა ყოფილიყო დაენიშნა კრება, რომელზედაც დაეწერათ (ან ჩაებარებინათ ერთისათვის) გასაგზავნი ზემო აღნიშნული წერილები და გაერჩიათ კიდეც სხვა დარჩენილი კითხვები. ეს გახლდათ მარიამობისთვის შუა რიცხვებში და დღემდის არაფერი ისმის, ალბად თავმჯდომარეს, ჩვეულებისამებრ, გადაავიწყდა სამკითხველო და ახალი თავისი თანამდებობაც.

არიან ჩვენში ხალხის განმანათლებლები მსხვილი პედაგოგები, რომელნიც სამკითხველოსკენ ისე გაჭიმულები გაივლ-გამოივლიან, თავსაც არ მიიხრიან გვერდზე, ფანჯარაშიაც კი შესახედავათ. თუ ლაპარაკი ჩამოუგდეთ ამა თუ იმ დაწესებულებაზე — მოჰყვებიან ბრტყელ-ბრტყელს სიტყვებს. ასე მოვიქცეთ, ეს დავადგინოთო, ეს გავაკეთოთო, — გაკეთებაზე კი რომ მივა საქმე — შორიდან გეკითხებიან: რა გააკეთეთო, რას აპირობთო, როდის გააკეთებთო, და ვინ მოსთვლის კიდევ მათს არარაობას. არიან ჩვენში, ჩვენდა სამარცხვინოთ, ისეთებიც, რომელნიც გაიძახიან: ჟურნალ-გაზეთები ჩვენ ჩვენთვისა გვაქვს, რა საქმე გვაქვს თქვენს სამკითხველოში, სადაც თავი მოუყრიათ მედუქნეს, ხელოსანს, მკერვალს და სხვა დაბალი წოდების ხალხსო!

უიმედო.

სალამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

9 ოქტომბერი.

პეტერბურგი. მისი უდიდებულესობის საკუთარი კანცელარიის უფროსი მმართველი ტანეევი დაბრუნდა და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა. — გამოცხადდა, რომ კონსტანტინეპოლი და ნუმეა (ახალ კალედონიაში) შავი ჭირის მხრივ საშიშრადაა ცნობილიო.

ნიჟეგოროდი. მდ. შექსნაში წყალი ძლიერ გათხელდა; გემები ველარ დადიან. წყალი იყინება. ჰფიქრობენ, გზაში ბევრი საქონლით დატვირთული გემი გაიყინებაო. ამ დღეებში კოვჟას ახლო შვრიით დატვირთული ნავი ქვას დაეჯახა და დაიღუპა.

პრეტორია. 2 ოქტომბერს აქ გამოაცხადეს ახალი სია იმ ბურების სარდლებისა, რომლებსაც სამხრეთ აფრიკიდან განდევნა აქვთ გადაწყვეტილი. ამ სიაში 12 კაცია დასახელებული, ამათში შეფერსიცაა მოქცეული.

ლონდონი. ინდოეთის მეფის-მოადგილე ლორდ კერზონი დეპეშით იტყობინება: ბენგარიასა, ორისასა და ჰაიდერაბადის პროვინციაში დიდი წვიმები მოვიდაო. მშვენიერი წვიმები მოვიდა ეგრეთვე ბერარში, ჩრდილოეთ დეკანში და გუჯარეტში. იმედია, მოსავალი გამოკეთდეს; რაჯპუტანში კი შემოდგომის მოსავალი ჩაინც ცუდი მოვა. გუჯერატში, მალვაში, აოვაპარში და რაჯპუტანში მოსავალი თითქმის მთლად წახდა. იმედია, რომ აიმარისა და პენჯაბის ურწყავ ადგილებში კაი მოსავალი მოვიდეს.

სოფია. გუშინ დამატებით არჩევნის დროს საერო კრების 29 წევრი ამოარჩიეს: ამათგან მთავრობის მომხრე — 18, მათ შორის ცინკოვისტი — 11 და კარაველოვის დასის მომხრე — 7.

პეკინი. აქაურ უმაღლეს მოხელეებს ამბავი მოუვიდათ: ქვრივი დედოფალი კაიფონში პრინც ცინს შეჰხვდება და სახელმწიფო საქმეებზე მოელაპარაკებაო. ჩინეთის ტახტის მემკვიდრესაც ამ დროს დაჰნიშვნენო. ამბობენ, ქვრივ დედოფალს ტუანის ძმისწულის ლუნ-ბეიძის დანიშვნა სწადიან მემკვიდრეთაო. რეფორმის დასი წინააღმდეგია ამ დანიშვნისა და ჰფიქრობს, რომ სახელმწიფოებიც ამის წინააღმდეგნი იქნებიანო, თუ დედოფალი ბეჯითად მოითხოვს, რომ ხსენებული კანდიდატი დაინიშნოს მემკვიდრეთაო.

ესპანიის ელჩი კოლოგანი ხვალ პეკინიდან მიდის. დიპლომატიური კორპუსის უფროსად ეხლა ავსტრიის ელჩი ბარონ ვალბორნი იქმნება.

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

პეტერბურგის ბირჟა 5 ოქტომბერს

გექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,75	
ბერლინზე 100 მარკაში	45,95	
პარიზზე 100 ფრანკში	37,30	
ლონდონზე ჩეკები	94,35	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,57½	
ბირჟის დისკონტი	5½—7%	
4% სახელმწიფო რენტა	96⅛	გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	439	მყიდვ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	330	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	240	გაყიდ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	87¾	„
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—	
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—	

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

ვერის მოედანზე, ყაფანთან.

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი**.

შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.

ტელეფონი № 754. (0—15)

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება თარგმანები

ივ. მაჭავარიანისა:

ГЛЕХИ-КАЦИС
ᲒᲚᲔᲮᲘ-ᲙᲐᲪᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ (ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა) 4 ნაწილად. . . . ფასი 2 40

ᲑᲠᲫᲧᲐᲚᲔᲑᲘ, დრამა 3 მოქ. „ — 30

ᲘᲣᲓᲘᲗᲘ, დრამა 5 მოქმედ. „ — 30

ᲢᲐᲠᲢᲘᲣᲤᲘ, ანუ მუზმუზელა, კომედია 5 მოქმედ. „ — 50

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ

ᲡᲐᲙᲔᲠᲐᲕᲡ:

კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).

ᲑᲐᲠᲝᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 12 (10—6)

ᲪᲘᲜᲙᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.

(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. (1000—32)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

სამეგრელოს აღწერა

არქანჯელო ლამბერტისა

იტალიურით ნათარგმნი

ალექსანდრე ჭყონიასი

(სამეგრელოს რუკით)

ᲤᲐᲡᲘ 1 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ

დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში — ჭილაძის და ბეჟინეიშვილის მაღაზიებში.

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს

ძაღლებზე დაარსებულ გადასახადის წესებს, რომელნიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა ფინანსთა მინისტრთან შეთანხმების შემდეგ.

1) გადასახადი არსდება ტფილისში ყველა ძაღლებზე, ჯიშის განურჩევლად, გარდა: ა) იმ ძაღლებისა, რომელნიც ეკუთვნიან უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელთ და საელჩოების და მისსიების სხვა წევრთ, აგრეთვე უმთავრეს კონსულებს, კონსულებს, ვიცე-კონსულებს და საკონსულო აგენტებს, თუ ესენი იმ სახელმწიფოს ქვეშევრდომნი არიან, რომელმაც დანიშნა, თუ ამ სახელმწიფოსთან რუსეთს საკონსულო კონვენცია აქვს შეკრული და თუ ის სახელმწიფოც არ ახდევინებს რუსეთის წარმომადგენელთა და კონსულებს ძაღლებზე გადასახადს; ბ) იმ ძაღლებისა, რომელნიც პატრონთ ეზოებში ჰყავთ ჯაჭვზე დაბმული; გ) იმ ძაღლებისა, რომელნიც ეკუთვნიან ტფილისში დროებით ჩამოსულთ, თუ ესენი ერთ თვეზე მეტს არ დაჰყოფენ ქალაქში და დ) იმ ძაღლებისა, რომელნიც ეკუთვნიან სამხედრო სანადირო რაზმებს, აგრეთვე რომელნიც სამხედრო პირთ და დაწესებულებათ ჰყავთ ნადირობისათვის, იმ პირობით კი, რომ ეს ძაღლები ჩამოთვლილი იქმნებიან სათანადო ჯარის განყოფილების ბრძანებაში.

2) გადასახადი არსდება 1 მანეთი ძაღლზე წელიწადში.

3) ძაღლის პატრონი გადასახადს იხდის ყოველ წლის დასაწყისში; მარტის თვის შემდეგ კი გადამხდელზე ჯარიმა არსდება.

4) ყოველს გადამხდელს ქალაქის გამგეობიდან ეძლევა ნიშანი, რომელზედაც აღნიშნული იქნება შემოტანილ გადასახადის კვიტანციის ნომერი. განსაკუთრებული ნიშნები მიეცემა აგრეთვე იმ ძაღლებს, რომელნიც ეკუთვნიან 1-ლ მუხლის ა და დ პუნქტებში აღნიშნულ პირთ და სამხედრო დაწესებულებათ; მათ გადახდებათ მხოლოდ ნიშნების ღირებულობა. ნიშნები ძაღლს საყელოზე უნდა ჩამოჰკიდონ; გაჩუქებისა ან გასყიდვის დროს თან უნდა გააყოლონ.

5) თუ ნიშანი დაიკარგა, ქალაქის გამგეობიდან გაიცემა ახალი ნიშანი, რომელშიაც ძაღლის პატრონმა მხოლოდ ღირებულობა უნდა მისცეს გამგეობას.

6) თუ ვინმემ წლის განმავლობაში შეიძინა ძაღლი, 14 დღის ვადაზე უნდა გამოუცხადოს ეს გარემოება გამგეობას და სრულად ან ნახევრად უნდა გადაიხადოს ხვედრი გადასახადი იმის მიხედვით, თუ წლის რომელს ნახევარში შეიძინა ძაღლი.

7) ვინც გადასახადს დროზე არ შეიტანს, მას გარდა იმისა, რომ გადასახადი გარდახდება, ჯარიმაც მიესაჯება; ჯარიმის რაოდენობა უდრის დარჩენილ გადასახას 10%-ს.

8) გადასახადის შემოტანის ვადა და ადგილი, სადაც ის უნდა შეიტანონ პატრონებმა, ქალაქის გამგეობამ საყოველთაოდ უნდა გამოაცხადოს გადასახადის შემოტანის ვადის ერთის თვით წინ.

9) ქუჩებში და მოედნებზე მაწანწალა ძაღლებს, თუ მათ დაწესებული ნიშნები არ ექნება, ქალაქის განსაკუთრებული მოიჯარადრე დაიჭერს. დაჭერილ ძაღლის პატრონმა 5 დღის განმავლობაში უნდა შეიტანოს ხვედრი გადასახადი ან უნდა დაამტკიცოს, რომ მან უკვე გადიხადა გადასახადი; წინააღმდეგ შემთხვევაში დაჭერილი ძაღლები დახოცილ იქმნებიან. ამასთანავე დახოცილ ძაღლების პატრონს გადახდებათ როგორც დაწესებული გადასახადი, ისე ჯარიმა ძაღლის შენახვისათვის, დღეში 15 კაპ.

10) იმ ძაღლების რაოდენობის ცნობაში მოსაყვანად, რომელთაც გადასახადი დაედებათ, ქალაქის გამგეობა, თავის აგენტების შემწეობით, ადგენს ყოველ წელს არა უგვიანეს 1-ლი იანვრისა განსაკუთრებულ სიებს, ხოლო არა უგვიანეს 1-ლი თებერვლისა უგზავნის ძაღლების პატრონთ გადასახადის ფურცლებს.

აწესებს-რა ამ გადასახადს, ქალაქის გამგეობა აცნობებს ძაღლების პატრონთ, რომ 1901 წლის გადასახადი მათ უთუოდ 10 ნოემბრამდე უნდა გადაიხადონ; იმ დღიდან-კი ჯარიმა გადახდებათ, თანახმად წესების მე-9 პარაგრაფისა. გადასახადი წარდგენილ უნდა იქმნას სავაჭრო პოლიციის კანტორებში, რომელნიც იმყოფებიან: 1-ლ და მე-2 საპოლიციო ნაწილებისთვის — ვერის მოედანზე, მე-3 და მე-4 ნაწილებისთვის — სალდათის ბაზარზე, მე-5 და მე-6 ნაწილებისთვის — თათრის მოედანზე, მე-7 ნაწილისთვის — კახეთის მოედანზე, მე-8 ნაწილისთვის — დესიმონოვის მოედანზე, მე-9 და მე-10 ნაწილისათვის — ავჭალის მოედანზე, წყლის მილის ბუდკაში, ნაძალადევისათვის კი — ადგილობრივ აგენტის ბუდკაში, წყლის მილის ქუჩაზე, რუქსის სახლში; ძაღლების პატრონთ, რომელნიც გადასახადს შეიტანენ, აგენტები კვიტანციებს მისცემენ და ამ წლისთვის დაწესებულს ნიშნებს. ამასთანავე გამგეობა სთხოვს გადასახადის შემომტანთ თვალ-ყური ადევნონ, რომ კვიტანციაზე უთუოდ აღნიშნული იყოს ნიშნის ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში კვიტანციას ძალა აღარ ექნება. (ნ. 2—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Октября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა